191

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 242
ნოემბრის 12, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 242
ნოემბრის 12, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი „ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით იქნება თ უ მ ა ნ ი ა. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.

ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).

საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ი ვ ე რ ი ა“
ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

ს.-პეტერბურგის კომპანია
„ნ ა დ ე ჟ დ ა“

ზღვით, მდინარით და ღმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 **მან.**
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 **მან.**

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 სააგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში სამზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბარების ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადა ბარგი და საქონელი უნდა იქნეს ჩაბარებული და სხ.).

მესახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისა საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნ ა ვ ო ს ნ ო ბ ა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრედვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (სიბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით

ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნაოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნაოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში. ტელეფონი № 108.

(120—6.—50)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38.

(წლ.)

ექიმი ალ. მალალაშვილი

მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე.

წლ.

ევროპიელი ქალი
ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის

ენის მცოდნე, იძლევა
გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ღამბაშიძის ბინაზედ.

(წ.)

გადაღებულია ნოტებზედ 30 ქართლ-კახურ იმერული საერო კილოები; კილოები დაწერილია ორწყებიან ხაზის სისტემაზედ; ამ კილოებსვე დართული აქვს 70 ხალხური ლექსი; ყველა ამ ნამუშავარს დასტამბა სჭირია; ვინც ამ სიმღერების დასტამბვას იკისრებს, მას უფასოდ დაეთმობა პირველი გამოცემა და ამ სიმღერების დამწერივე იკისრებს უსასყიდლოთ კორექტურის გასწორებას. მსურველს შეუძლიან მიჰმართოს პირობათა შესატყობად „ივერიის“ რედაქციას.

5—3

№ 14. ტელეფონი 617.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, 1902 წ.

ნ. ჩხეიძის საბასტროლოდ

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება

პირველად განახლების შემდეგ.

მუშაკი
და
ნებიერი
(Le majtre de forges)

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ნ. რიონელი, როსტომიანი, ნ. ჩხეიძე და სხვ. ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე, კ. მესხი, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, რომანიშვილი, ქღენტი, რგანელი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „კოვერლეის მკვლელობა“ (კ. მესხის ბენეფისი), „მტერმოყვარე ძმები“, „მზეს მოკლებულნი“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ა. ნ. შვაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვების და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон-

(წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე.

(წ.)

ტ ფ ი ლ ი ს ი

◆ დღეს, 12 ნოემბერს დანიშნულია სამეურნეო საზოგადოების კრება. კრებას მსჯელობა ექმნება ჟურულის მოხსენების შესახებ: „კოოპერაციების განვითარება ევროპაში“. შემდეგ კრება მოისმენს თ. ლევ. ჯანდიერის მოხსენებას მამულის დაცვის თაობაზედ და ჟუკოვისას: მომთაბარე ხალხის ვითარება და მათი საჭიროებანი.

◆ როგორც გადმოგვცეს, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოზი, ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრე ძალიან თურმე ავად იმყოფება. სასულიერო მთავრობის განკარგულებით, მის მეუფების ავადმყოფობის გამო, გაემართა ფოთს ეპარქიის დროებით განსაგებად ეპ. დიმიტრი.

◆ ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასი გამართავს წარმოდგენას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ნ. ჩხეიძისა; წარმოდგენილი იქნება ოთხ-მოქმედებიანი პიესა „მუშაკი და ნებიერი“.

◆ ხუთშაბათს, 14 ნოემბერს დანიშნულია ქალაქის სკოლების ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება; კრება განიხილავს ვერისა და მამადავითის სკოლების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საქმეს.

◆ ტფილისის გამგეობამ საინტენდანტო მმართველობას უარი უთხრა უფასოდ წყლის დათმობაზედ მოსამსახურეთათვის.

◆ ქალაქის გამგეობამ საეპარქიო სანთლის ქარხნის მმართველობას უარი უთხრა ალექსანდრეს ბაღში პავილიონის გამართვაზედ წმინდა-სანთლის გასასყიდად.

◆ ქალაქის სკოლებში მოსწავლეთა დამხმარებელმა საზოგადოებამ განიხილა სია ღარიბ მოწაფეებისა. საზოგადოებამ აღმოუჩინა შემწეობა ფულითა და თბილის ტანისამოსით სახელოსნო სკოლის 38 მოწაფეს, 41 მოწაფეს ქალების სახელოსნო სკოლისას და 100 ყმაწვილს ქალაქის სკოლებისას.

◆ 1900 წელს დიდუბის მცხოვრებლებს დიდი უბედურება დაატყდათ თავსა, ცეცხლი გაუჩნდა სახლებს და ბევრი სახლის პატრონი დაზარალდა; ქალაქმა 250 მან. შემწეობა აღუთქვა; ამ ორის კვირის წინათაც დაადგინა გამგეობამ ეს ფული დაურიგდეს დაზარალებულთაო; ახლა სხვა ქარს დაუბერნია: დაუდგენიათ, ჯერ გამოვიკვლიოთ, ვის რამდენი ზარალი მოუვიდაო. დალოცვილებმა, აქამდე რით ვერ გამოიკვლიეს!

◆ ჯერ კიდევ 1893 წელს ტფილისის გამგეობამ იშუამდგომლა შინაგან საქმეთა მინისტრის წინაშე, რომ ქალაქს ნება დაჰრთოს ყოველ შემოტანილს ქალაქში სავაჭროზედ გარდასახი დააწესოს და ეს შემოსავალი მოახმაროს ქალაქის ქუჩებისა და მოედნების მოწყობას და მის სხვა საჭირო საქმეებსა; გუშინ ქალაქის გამგეობამ შინაგან საქმეთა მინისტრის სამრეწველო დეპარტამენტისაგან მიიღო მოწერილობა, რომ ქალაქმა წარუდგინოს სამინისტროს, რა და რა საქონელზედ გსურთ შემოიღოთ გადასახადი, რამდენი ფუთი შემოდის ყოველ წელს ქალაქში და რა და რა სავაჭროსი რამდენ რამდენი ფუთი. ამასთანავე სამინისტრო თხოულობს, რაც შეიძლება, მალე წარმომიდგინეთ ყოველი ცნობა სხვა-და-სხვა დარგის სავაჭროზედ, რამდენი ჰსურს ქალაქს გარდაახდევინოს საქონლის პატრონსაო.

◆ გუშინ, 11 ნოემბერს მექანდაკე ხოდოროვიჩმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა თავისი პირობანი ალექსანდრეს ბაღში გოგოლის სახელობაზედ ძეგლის დადგმისა; როგორც ამ პირობებიდგან სჩანს, ძეგლი დაჯდება 4000 მანეთი სიმაღლე ძეგლისა უნდა იყოს 4 არშინი; თავათ გოგოლის ბიუსტი უნდა იყოს ბრინჯაოსი და სიმაღლით იქნება 1 არშინი 5 ვერშოკი; ბიუსტის გვირგვინი და კალამი უნდა იყოს 10 და 8 ვერშოკი, თავათ ძეგლი უნდა იდგეს ქუთაისიდგან მოტანილ სამ ქვაზედ, ამ სამ ქვაზედვე მოთავსდება ხუთი საფეხური ქუთაისის ლურჯის ქვით გაკეთებული; ძეგლზედ გამოქანდაკებული იქნება მწერლის სახელისა, მამის სახელის სათაური ასოები. მას ზედ მოჰყვება მწერლის გვარი; ამავე წარწერის ქვეშ იქნება გამოქანდაკებული დაბადებისა და სიკვდილის დღეები, პირობის ძალით ძეგლი მზად უნდა იყოს 1903 წლის 9 მარტისათვის; ძეგლის პროექტი გაიგზავნიბა პეტერბურგში ჩამოსასხმელად; ხოდოროვიჩი ყველა ამ ხარჯს თითონ კისრულობს, ხოლო 1500 მანეთი ხოდოროვიჩმა ქალაქისგან უნდა მიიღოს მაშინ, როდესაც დამზადებული ძეგლი მიღებული იქნება ტფილისში.

◆ ტფილისის საქონლის სადგომის გამგებეითალმა ბ-ნმა როსტოვსკიმ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, რომ მის ხელქვეითს ორ მუშა კაცს ნუ დაათხოვენ ნურც ერთს, რადგანაც ერთი ფერშალია და საჭიროა და ორი მუშა კაცი თუ არ იქნება, ერთი საქმეს ვერ აუვაო; ამიტომ როსტოვსკი ითხოვს, რომ მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვაში ჩართულ იქმნას სამის კაცის შესანახი ხარჯი.

◆ ვერის ხიდის მოიჯარადრეს ბ-ნ მამინაიშვილს ვადა უთავდება ამ თვეში; მამინაიშვილი ქალაქის სასარგებლოდ იხდის 17 ათას მანათს; ამ ჟამად ახალი პირობანი საჯარო ვაჭრობისათვის უკვე შემუშავებულია. ვაჭრობა დანიშნულია 22 ნოემბერს.

◆ შაბათს, 9 ნოემბერს მოხდა შეერთე-

თებული კრება ქალაქის გამგეობის წევრთა და ინჟინერ-ხმოსანთა. კრებამ განიხილა უსახელო საზოგადოების მიერ შედგენილ პროექტის პირობანი ჰიდრავლიურ სტანციების აგების; შეერთებულმა კრებამ ერთხმად მოიწონა პროექტის აზრი და ამოირჩია კომისია, რომელსაც მიანდო განიხილოს ეს საგანი ყოველის მხრივ, რამდენად ხელსაყრელი იქნება ეს საქმე ქალაქისთვის და რა სარგებლობა შეუძლიან მოუტანოს ქალაქსა; კრებამ დაავალა კომისიას, ამ ორის კვირის განმავლობაში წარუდგინოს თავისი მოხსენება; კომისიაში ამორჩეულ იქმნენ ინჟინერები: ბაბოვი, კირაკოზოვი, ახუნდოვი, მუხარინსკი და ენფიანჯიანცი. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ბ-ნი კირაკოზოვი; შეერთებულ კრების მდივნად მოწვეულ იქმნა საბჭოს მდივანი ს. თ. ჭრელაშვილი.

◆ ქალაქის საპროფესიონალო სკოლის გამგეს ქ-ნ ანანოვის განკარგულებით ჯერ კიდევ ოკდომბერში დათხოვნილ იქმნა უცხო ხელსაქმის მასწავლებელი ქ-ნი ამირალოვისა. მისი თანაშემწეც ქ-ნი ბუდრინისა თვით ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ ამაზედ ადრე დაითხოვა. ამ საქმის აწეწას ის მოჰყვა, რომ მეექვსე კლასი დაკეტილია აგერ ოკდომბერს აქეთია; შეგირდები-კი უსაქმოდ მიდიან და მოდიან, დრო ტყუილად ეკარგებათ და არაფრის დამნაშავენი შუაში იჭყლიტებიან; თუმცა ამავე დროს უნდა ვსთქვათ, რომ ამავე კლასის დანარჩენი მასწავლებლები დღეს აქამომდე ირიცხებიან სამსახურში და ჯამაგირს იღებენ; სასურველია, რომ გამოირკვეს, რამ დაჰბადა ეს არა სასიამოვნო ამბავი, რომ მით ბოლო მოეღოს იმ უწესოებას, რომელიც ხელს უშლის სწავლის წესიერს მიმდინარეობას. იმედია, სასწავლებელთა კომისია მალე გამოიკვლევს ყოველ ამას.

◆ ტფილისის საქალაქო სკოლების კომიტეტის აღმასრულებელ კომისიად გადაქმნამ დაუსრულებელი დავიდარაბა გამოიწვია. აგერ ოცდა ხუთი წელიწადია კომიტეტი განაგებს სკოლების ბედ-იღბალს თავის ნებაზედ, სხვის დაუკითხავად და ახლა-კი სხვის ბრძანების აღმასრულებელ კომისიად უნდა გარდაიქცეს. ქალაქის გამგეობამ დაავალა ტფილისის ზოგიერთს იურისტს, წარმოეთქვათ თავისი აზრი 1) ამდენის ხნის არსებობა კომიტეტისა, ნებას აძლევს კომიტეტს განაგრძოს თავისი მოქმედება იმავე რიგითა და წესით, თუ არა? 2) კომიტეტის არსებობა ეწინააღმდეგება სასწავლებელთა სამზრუნველოს მიერ გამოცემულ წესებსა, თუ არა? ამაზედ ზოგიერთა ცნობილმა იურისტმა უკვე წარუდგინა თავისი აზრი ქალაქის გამგეობას, რომლითაც იგინი კომიტეტის არსებობას სრულიად კანონიერად სცნობენ; ამ იურისტთა შორის არ წარუდგენია თავისი აზრი იურისტს ბ-ნ შევალიეს. ბ-ნი შევალიე ამ დღეებში წარუდგენს ქალაქის გამგეობას თავის მოხსენებას, რომელიც განხილულ იქნება გამგეობისა და სასკოლო კომისიის წევრთა კრებაზედ.

◆ ავჭალის ქუჩაზედ, (სახლი № 53), აგერ ერთი კვირაა გაიმართა პურის საცხობი, რომელიც ასეთს უვარგისს და უსუფთაოდ გამომცხვარ პურსა ჰყიდის, რომ წარმოსადგენადაც ძნელია, მხოლოდ გაგონებით გაგვეგონა მეპურეების უსუფთაობა და თუ აქამდე მიახწევდა, ამსკი ველარ წარმოვიდგენდით, ჩვენის თვალით რომ არ გვენახა, არც დავიჯერებდი. ისე ლუკმას არ მოსტეხავ ნაჭერს, რომ ან ნახშირი, ან თოკი და სხვა უსუფთაობა არ აღმოჩნდეს. მივაქცევთ მათს ყურადღებას, ვისაც ჯერ არს, ამ უსუფთაობის მოსასპობად.

◆ მივაქცევთ აგრეთვე ყურადღებას, ვისიც ჯერ არს, მოსტოვოის ქუჩის სახლი № 18 და 20 სარდაფების შუშებზედ, რომელიც ქვაფენილებზედ გამოდის; ზოგიერთა შუშა ჩამტვრეულია და ვითომდა გასამაგრებლათ ფირფიტანა ფიცარი დაუდვიათ ზეიდგან; ყოველთვის მოსალოდნელია, რომ ვინმე გამოვლის ღამე, ჩაჰკრავს ფეხს, ჩაიმტვრევა ფიცარი და წარმოსადგენია, რაიმე უბედურებაც დაემართოს; კარგი იქნება, ყურადღება მიექცეს ამ სანათურების მდგომარეობას, რომ ახლანდელ ასეთს ყოფას ერთი უბედურება არა მოჰყვეს-რა.

—

შეცდომის გასწორება.

შაბათის ფელეტონში: სომხისა და ქართველ მოწინავე მოღვაწეებს“.

სვეტი.	დაბეჭდილია.	უნდა იყოს.
1	სომხებსა სდებენ	სომხებსა სდებენ.
»	თელავის მაზრაში,	თელავის მაზრის
„	$18^{88}/_{100}$	$10^{88}/_{100}$
2	აზრად არა აქვს	აზრად არა მაქვს
„	უნდა უნდა	უნდა
5	მოვიტანოთ	მოვიტანო.

ჩვენებური ამბები

მთა-მადნის მრეწველს ი. დ. ლაზარევს შეუწირავს სოფელ ქედაში სამეურნეო სკოლისათვის 20 თუმანი.

—

ყვირილა. გათავდა თეატრის შენობა. სამწუხაროდ ახლად აშენებული კედლები რამდენსამე ადგილას გაირღვა. სათეატრო ამხანაგობის გამგეობა, პირობისამებრ, ახდევინებს მოიჯარადრეს იჯარის ფულს 5000 მანეთს

—

იქიდანვე: აქაურს სამკითხველოში ეს ერთი ხანია მეწიგნეთსაცავედ ქ-ნი ე. გ. რუხვაძე არის, რომელიც შედარებით უკეთ აწარმოებს საქმეს.

—

ხობი (სამეგრელო). წრეულს ხობელები ერთობ შეაშინა სიკვდილმა. „სიკვდილის რეზიდენცია წლეულს ხობი არისო“,—ამბობენ აქაურები. გარდაცვალებულთა რიცხვი აქამომდე 20 სულამდეა, უმეტესობა ანთებით იხოცება. დიდს გაჭირვებაში ვართ უექიმობით.

დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზდა ყველა ყანებში გაფანტული. ამ წინაზე დატვირთულმა ურემმა პირისახეზე გადაუარა 16 წლის ყმაწვილს, დავით ქქუთიას. შედეგი - უეცრივ სიკვდილი. მიზეზი—გაუფრთხილებლობა.

„ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში მღ. კარიჭაშვილი სწერდა მუცლის სახადის წამლობა მოცვიაო, რომელსაც მეგრელები „რწყავს“ ეძახიანო. მეგრელები მოცვს „მილ-ყურძენე“-ს უწოდებენ, ხოლო რწყავს (prunus lavro cenasus)—„რწყე“-ს.

ჯაჯუ.

—

რაჭა. დადგება ოკდომბერი თუ არა, შეიქნება ხალხში მითქმა-მოთქმა შესახებ იმისა, ერგება თუ არა კენჭი შვილს ან რომელისამე ნათესავს. ყველაზე სამწუხარო აქ ის არის, რომ ბევრი დარწმუნებულია, სალდათების გაყვანაში უკანონობა ხდებაო, მიკერძებაო. ზოგი 55 წლს გადაცილებული მამა იმასაც-კი ჰფიქრობს, რომ ერთადერთს მოსწრებულს შვილსაც მოსტაცებენ. სწორედ ამ დროს ჩნდებიან სხვა-და-სხვა ბოროტი კაცები, არწმუნებენ უვიც ხალხს, რომ ფულით ყველაფერი მოგვარდებაო და თვითონვე ჰკისრულობენ შველას.

ხალხის უმეცრება საუკეთესო ნიადაგია, რომ მასზე აღმოცენდნენ საზიზღარნი პარაზიტები. სასურველია, მთავრობამ მეტი ყურადღება მიაქციოს სალდათების გაწვევას იმ გვარი პირობების შექმნით, რომლის წყალობით ბოროტ-მოქმედება შეუძლებელი შეიქნეს.

გულ-შემზარავია ჩვენი სოფლების უმეცრება. სოფელში დაწანწალებენ ვიღაც ურიები და ბევრი სხვებიც; მარჩიელობენ, თან წამლობენ. მამსისხლად უჯდებათ სოფლელებს ეს მავნებელი მარჩიელობა და პატრონი-კი არ არის, რომ განდევნოს ეს ბოროტ-მომქმედნი სოფლებიდგან. რადგან ჩვენი მღვდლები, მამასახლისები ამ ბოროტ ადამიანებს არ ებრძვიან, ისევ საჭიროა ჩვენმა პატივცემულმა მაზრის უფროსმა ლიონიძემ დაავალოს მამასახლისებს, რომ თვალყური ადევნონ ხალხის მძარცველებს.

თუმც წელს მოსავალს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ნაადრევმა ყინვამ შეგვისუსტა მოსავალი. ამას კიდევ გაუძლებდა ხალხი, რომ არ გაჩენილიყო საქონლის ჭირი. როდესაც შესაძლოა მოაცილონ თავის დროზე ხალხს საქონლის ჭირი, მაშინ ბეითლები ყურსაც არ იბერტყენ, უსაქმობის გამო არ იციან, რა ჰქნან, არ ადევნებენ ყურს ჭირიან ადგილებიდან მორეკილ საქონელს. გაჩნდება თუ არა სადმე ჭირი, მაშინ-კი ბეითლებს ბეითლებზე აგზავნიან, ხოცავენ საქონელს, რისგამო მეტი ზარალი ეძლევა ხაზინასაც და საზოგადოებასაც.

დადგა შემოდგომა თუ არა, ზემო რაჭაში მიწის ძვრამაც გვიკლო, მხოლოდ ერთხელ მოგვაგონა ოკდომბრის ბოლოს. მის შემდეგ, რაც ქვეყნის ყოველ კუთხიდან იწერებიან მიწის-ძვრის ამბავს, აქაურებიც დაწყნარდნენ.

საჭიროა, რაჭველები ეხლავე შეუდგნენ თავისთვის ხის სახლების აგებას.

ე. ვაშაკიძე.

კავკასია

პეტროვსკი. 30 ოკდომბერს, საღამოს 7 საათზედ საზიზღარი მკვლელობა მოხდა. ჩეშეტნიკოვის ფაბრიკის ახლო, ასე თორმეტ-თოთხმეტ ვერსის მანძილზედ, სამი კაცი მოდენილა მასლაათით, უცებ, ორნი მათგანი დასცემიან მესამეს, წაუქცევიათ და დაუწყვიათ ხანჯლებით კაწვა; მოუჭრიათ ყური, ენა და გაქცეულან. პოლიცია დაეძებს ამ გამხეცებულს კაცებს.

ნ. ც—ძე.

უცხოეთი

ავსტრია-უნგრეთი. მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორი მიხაილოვსკი, რომელმაც განიზრახა ევროპის დიდ სახელმწიფოების მოვლა, რათა მთელს ქვეყანას გააცნოს მაკედონიის ეხლანდელი უნუგეშო მდგომარეობა და გამოიწვიოს თანაგრძნობა მისდამი, ამ ჟამად პარიჟში იმყოფება. ვენაში ყოფნის დროს გაზ. „Neue Freie Presse“-ის თანამშრომელთან ჰქონდა ბაასი და დაწვრილებით აეხსნა, თუ რა მდგომარეობაშია მაკედონია, რამ აიძულა აჯანყება მაკედონელ მკვიდრთა და რა ძალა შესწევთ მეამბოხეთა.

იმ მდგომარეობის ატანა, რომელშიაც დღეს მაკედონიის მკვიდრნი არიან, ყოვლად შეუძლებელიაო. ჩვენ ერთად-ერთი გვწადიან: თანაბარი უფლება მიენიჭოს ქრისტეან და მუსლიმან მკვიდრთა, ნუ მიეცემათ უპირატესობა ოსმალებსაო. ერთის სიტყვით გვსურს ბერლინის ტრაქტატის მე-23 მუხლის აღდგენა. მაგრამ ხონთქარ აბდულ-ჰამიდისაგან ჩვენ ამას ვერ ველირსებით. ევროპაში ჰგონებენ—მაკედონიის აჯანყებას ბულგარიაში აქვს სათავეო. პეტერბურგიდგან და ვენიდგან არა ერთხელ მიიღო ბულგარიის მთავრობამ გაფრთხილება,—ეცადეთ, ევროპის მშვიდობიანობა არ დაირღვესო. მაგრამ ბულგარია რა შუაშია, როდესაც მაკედონელებს შინაური გაჭირვება სულსა ჰხდის და სასოწარკვეთილებაში აგდებს. რადგან დიდძალი ხალხი სახლდება მაკედონიიდგან ბულგარიაში, ცხადია უკმაყოფილოთა რიცხვი თანდათან იმატებდა; სწორედ ასეც მოხდა: ამ გადასახლებულთა შორის იფეთქა პირველად აღელვების ნაპერწკალმა, თანდათან გაღვივდა და დღეს მთელს მაკედონიას მოედო ეს ცეცხლი. სოფიის მცხოვრებთა ნახევრობას მაკედონელები შეადგენენ; მდინარე დუნაის ორსავ ნაპირზე 250,000 მაკედონელი მოსახლეობს; ისიც უნდა მივიღოთ სახეში, რომ ამ ემიგრანტ-მაკედონელთა უმრავლესობა განათლებული და შეგნებული ხალხია. აგერ 530 წელია, რაც ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე განუწყვეტელი შინაური ბრძოლა და შეუბრალებელი სისხლის ღვრაა, მაგრამ საქმე იმდენად არაოდეს არ გამწვავებულა, როგორც ამ ჟამად. როდესაც მაკედონიის აჯანყებაზე ვლაპარაკობთ, ის-კი არ უნდა გვქონდეს სახეში, ვითომ მთელი ხალხი ერთბაშად ჰღელავდეს და დრტვინავდეს, როგორც, მაგ., საფრანგეთის რევოლიუციის დროსა. ასეთი მოძრაობა არ შეესაბამება ბოლგარიის ხალხის ხასიათს. მაკედონიის არეულობა უფრო იმ ბულგარულ ლეგენდა-გადმოცემათა მოგაგონებთ, რომელშიაც თავზედ ხელაღებული ჰაიდუკი ყაჩაღთა ბრბოს უყრის თავსა, თავისუფლად დათარეშობს და მუსრს ავლებს მტერს, სადაც-კი წააწყდება. პატარ-პატარა რაზმებს, რომელნიც 20—25 კაცისაგან შესდგებიან, თავისი საკუთარი ბელადი ჰყავს; იგინი დაუცხრომლად დაძრწიან, და თუ სადმე მტერს მიაკვლიეს, უმოწყალოდ ჟლეტენ. ბელადთა შორის დღეს პირველობენ გენერალი ცონჩევი და პოლკოვნიკი ნიკოლოვი, რომელნიც არც სიმამაცითა და არც გამოცდილება-გამჭრიახობით ძველ სახელოვან ჰაიდუკებს არაფრით ჩამოუვარდებიან. მათ ბულგარიის სამსახურს თავი გაანებეს, რათა მთელი სიცოცხლე მაკედონიის საქმისათვის შეეწირათ. მათ გარდა ყოვლად საიმედონი არიან კაპიტნები სტოენჩევი და პროტოგეროვი, რომელთაც 500-ზედ მეტი საუცხოვოდ შეიარაღებული და გაწვრთნილი მეომარნი ჰყავთ; ზოგიერთ რაზმს ისეთი მარჯვე, მიუდგომელი ადგილი უკავია, რომ ყოვლად შეუძლებელია მისი დამორჩილება. ყველასათვის ცხადია, რომ აჯანყება დღითი-დღე უფრო და უფრო ძლიერდება; ეს-კი იმას მოასწავებს, რომ ხალხი თანაუგრძნობს ამ მოძრაობას. მართალია, მაკედონიაში არიან ისეთები, რომელნიც გულცივად შეჰყურებენ დღევანდელს ამბებს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომელნიც ქონებრივსა და ზნეობრივ დახმარებას უწევენ მეამბოხეთ და ისეთებიც, რომელნიც ცხადლივ მიემხრენ მათ და სამკვდრო-სასიცოცხლოდ გასწირეს თავი; ამ ორ უკანასკნელ ჯგუფთა რიცხვი თვალდათვალ მატულობს.

ამავე დროს სტამბოლი ძველს პოლიტიკას ადგია: ყური მოიყრუე, ვითომ და აქ არაფერიაო. ოსმალეთის მთავრობა ყოველის ღონის-ძიებით სცდილობს თვალი აუხვიოს ევროპის დიდ სახელმწიფოებს, დააჯეროს იგინი,—მაკედონიაში მხოლოდ აქა იქ იფეთქა სუსტმა და უძლეო აჯანყებამ, მაგრამ სულ მცირე ხანში მოვარიგებ არეულობასაო. ოსმალეთმა კარგად იცის, რასაც სჩადის. აგერ ამას წინად ერთი წარჩინებული მოხელე, ოსმალი სარდალი, იანკოვს ებაასებოდა მიმდინარე საქმეთა შესახებ და სხვათა შორის უთხრა, —ქრისტეანებს რომ ისეთივე უფლებანი მივსცეთ, როგორიც ოსმალებსა აქვს, რაღაც სამის წლის განმავლობაში სრულიად დაიმონებენ ოსმალ მკვიდრთა რადგან გაცილებით უფრო მაღლა სდგანან სწავლა-განათლებით და კულტურითაო. მაგრამ მაკედონიაში, ტრაქტატის ძალით, უეჭველად უნდა გაათანასწორონ და გაათანაბრონ მკვიდრნი, მიუხედავად სარწმუნოებისა და ეროვნობისა. მაკედონელები მხოლოდ ამ უფლებას თხოულობენ; ამ გვარად მაკედონიის აჯანყება ეროვნულმა, ან „სრულიად-სლავიანთა“ მისწრაფებამ-კი არ გამოიწვია, არამედ შეურაცხყოფილმა ადამიანურმა გრძნობამ. მაკედონელ ქრისტეანებს სტანჯავენ და აწამებენ, სულს ახრობენ საპყრობილეში, მაგრამ ევროპის ყურამდე ვერ აღწევს მათი გმინვა-ოხვრა; მართალია, ამ დღეებში რუსის ერთ გენერალთან ვსაუბრობდი და იმან მითხრა: „გორდიონის კვანძის გამხსნელი მარჯვენა თქვენს შორის-კი არა, მხოლოდ რუსეთში არისო“, მაგრამ ასეთი შემთხვევა მეტად იშვიათია ჩემს ცხოვრებაში. ეხლა განვიზრახე, კომიტეტის მინდობილობით, დავიარო მთელი ევროპა და მივაქციო მისი ყურადღება მრავალ-ტანჯულს მაკედონიას. განა მისმა თანაგრძნობამ არ იხსნა საბერძნეთი მტარვალის ხელისგან?..ჩვენ აღვიარებთ გლადსტონის აზრსა: „მაკედონია მაკედონელთათვის“. ევროპას თამამად შეუძლია სხვა-და-სხვა ღონისძიება მიიღოს, რომ ამ აზრის განხორციელებამ ოდნავადაც არ შეუშალოს ხელი ევროპის მშვიდობიანობას; მოგვანიჭოს მხოლოდ ის უფლება, რომელიც ყოველს ადამიანს უნდა ჰქონდეს. ჩვენ სხვას ხომ არას ვსთხოვთ!

ფელეტონი

წინაპართა აჩრდილნი

ისტორიული ამბავი *)

—

ორიოდ საათის სიარულის შემდეგ, დაწინაურებულნი შეუდგნენ ერთ მაღალ ფერდობს და როცა აიარეს, შევიდნენ კავკასიის მთის ერთს ვიწრო, ტყით შემოსილ ხეობაში. მიდიოდნენ ფთხილად, იცქირებოდნენ აქეთ-იქით, ათვალიერებდნენ ყოველ საეჭვო ადგილს, მაგრამ მტრის ჭაჭანებაც-კი არსად არა სჩანდა. გავიდა კიდევ ცოტა რამ ხანი და უცებ, სადღაც ტყეში, გავარდა თოფი. ეს თოფის ხმა, როგორც აღმოჩნდა, ნიშანი ყოფილიყო მთის ფერდობზე დაბურულ ტყეში ჩასაფრებულ ლეკებისა. ერთის წამის წინად სამარის მსგავსად გაყუჩებული ხეობა უცებ ჯოჯოხეთურმა ღრიანცელმა მოიცვა. როგორც ნიაღვარი, ისე წამოვიდა ზემოდან შეიარაღებული ჯარი ლეკებისა. მათი ყრიამული ცამდის ადიოდა. ერეკლემ პირველსავე თოფის გავარდნაზე შეშფოთებით მიიხედა უკან. საჩქაროზედ მიხვდა თავის შეცდომას და ბრძანა—მსწრაფლ უკან გატრიალება. ზაქარიას ხელით ანიშნა, რომ გაბრუნებულ რაზმს გასძღოლოდა წინ. დაიძრა თუ არა პატარა ლაშქარი ქართველებისა, ახლა წინიდან შემოესმათ საშინელი ღრიანცელი ლეკებისა. თვით ჰაჯი ჩალაბი მოაქროლებდა ცხენს და მას ხუთასამდე მეომარი მოსდევდა უკან. ერეკლე მიბრუნდა იქით, თავის არწივისებურ თვალებით გაარჩია მომავალი მტრის ჭაღარა წინამძღოლი...

— ოთარ, დაიძახა მან,—ასი კაცი გამოატრიალე აქეთ. ზაქარიასთან წადი, ის აქ გამოგზავნე და შენ შენებურად გადუდექ წინ მტერსა... გარღვევა მტრისა ჯერ-ჯერობით ვერ არის მოსახერხებელი... მეტი ღონე არ არის, მამიჩემის მოსვლამდე უნდა მივიგეროთ მტერი... ეჭვი არ უნდა, ისიც მალე გაჩნდება აქა.

ოთარი გაბრუნდა, ხოლო ზაქარია ამ დროს უკვე გაცხარებული იბრძოდა თავის მხედრებით. ცოტანი იყვნენ ქართველები, მაგრამ, ვინც იყვნენ, ყველას ვაჟკაცობის სახელი ჰქონდათ გავარდნილი მთელს ქართლ-კახეთში. ვინ მოსთვლის, რამდენი ბრძოლა გადაეხადათ ამათ ერეკლესთან ერთად და სწამდათ, რომ დღესაც ისე გაიმარჯვებდნენ, როგორც არა ერთხელ უწინ. ეს რწმენა, მეფე ერეკლეს მათთან ყოფნა და საყვარელ წინამძღვრების ცქერა გმირობის სულს უდგამდა თვითეულ მათგანს და როგორც ლომნი, ისე ეძგერნენ მტერსა. უცებ მეხივით დაიჭექა თოფმა. ამ თოფის ხმას ყველა იქ მყოფმა ქართველებმა ყური მოჰკრეს... თითქმის ყველამ ერთად გადიწერეს პირჯვარი და ერთმანეთს მხიარულად შესძახეს:

— ბატონმა დასცალა თოფი, ბატონმა...

— და ლეკების რომელიღაც ბელადს დაუბნელა დღე...

V

ჰაჯი ჩალაბმაც კარგად დაინახა ერეკლე, მოერიდა მასთან პირის პირ შეტაკებას: თითონ უკან დადგა და თავის ჯარს წინამძღვრად დააყენა ვაჟკაცობით სახელგანთქმული თავისი შუათანა შვილი.

შვილი აღტაცებით მიეგება ამ დანიშნულებას. იმედი ჰქონდა, ერთის შეტევით გაანადგურებდა ქართველების პატარა გუნდსა და მთელს დაღესტანში დიდებულ სახელს მოიხვეჭდა უძლეველ მეფის დამარცხებით. მაგრამ ესეთი საოცნებო ფიქრები ახალგაზდა, დიდების მოყვარე კაცისა კვამლივით გაიფანტა პირველსავე შეტაკებაზე. ერეკლემ ახლო მიუშვა გათამამებული მტერი, მერე უცებ ხელში მოიგდო თოფი და ესროლა მის წინამძღოლს. იმავე წამს ამ უკანასკნელს ამოღებული ხმალი ხელიდან გავარდა და თავის რაზმის წინაშე უსულოდ გადმოვარდა ცხენიდან. უბელადო ჯარი შედრკა, ერთ წამს შეჩერდა. მტრის შერყევით საუცხოვოდ ისარგებლა ერეკლემ. როგორც ვეფხვი, ისე ეძგერა ლეკებს თავისის პატარა გუნდით. თავზარი დასცა მას, არივ-დარია და გაირეკა წინ. არეული მოწინავე ჯარი გვერდზე მიაყენა ჰაჯი-ჩალაბმა და რიგზე დაყენებული რაზმი მოაგება წინ ერეკლესა. ქართველების ბედზე ბრძოლის ველი ვიწრო იყო და ამის გამო ლეკების ბრბო ვერ იშლებოდა თავისუფლად. ძალაუნებურად ბრძოლის დროს იმდენივე ლეკი უნდა მდგარიყო წინ, რამდენიც ქართველი. ამ მიზეზით სიმრავლე მტრისა ჯერ-ჯერობით მაინც ვერაფერს აკლებდა მათ. მეფე ერეკლე კარგათ იცნობდა თავის ქართველებს, იცოდა რომ მათთვის სრულიად საჭირო არ იყო წამდაუწუმ განკარგულების ძლევა და ამიტომ ბრძოლის ველიდან არც-კი გამოდიოდა გარეთ. სადაც-კი შენიშნავდა მტრის ძლიერებას, მაშინვე იქა ჩნდებოდა საკვირველი მეფე და იმავე წამს ფრთებ-შესხმული ქართველები, მოგერების ნაცვლად, თვით ესხმოდნენ მტერსა, ჰფანტავდნენ და მიერეკებოდნენ წინ. სიმრავლით გათამამებული ლეკები ერთმანეთს ეცილებოდნენ წინ დგომას, ქართველებთან ხელჩართულ ბრძოლას, მაგრამ ესეთი თავგამოდება ძვირად უჯდებოდათ. სიმამაცე და სიკვდილის მოურიდებლობა ლეკებისა ამაოდ იმსხვრეოდა ქართველების სულისა და მკლავის ძლიერებაზე. ბრძოლის ველზე ეყარნენ ასამდე დაჭრილ-დახოცილი ლეკები, ხოლო ერეკლეს რაზმს ათიოდე კაცის მეტი ჯერ არავინ დაჰკლებოდა.

ესეთი მდგომარეობა, რასაკვირველია, ქართველებისათვის არ იყო ცუდი, მაგრამ მათი წინამძღოლნი და მომეტებულად მეფე ერეკლე მაინც ვერ იყვნენ კარგ გუნებაზე. თეიმურაზ მეფის დაგვიანება მეტის-მეტად აწუხებდათ მათ. იგი თვისის ჯარით აქამომდე უსათუოდ უნდა გაჩენილიყო ბრძოლის ველზე. ესოდენ ყრიამულს, თოფის სროლას და მთელის ხეობის დამაყრუებულ გრიალს უნდა უეჭველად მიეღწია მის ყურამდე. მაშ რად იგვიანებს? სად არის? რატომ, ჩვეულებრივ, არ მოისწრაფის საშველად?.. რად სტოვებს ამდენს ხანს ამ საშინელ ხიფათში, როგორც თავის სახელოვან პირმშოს, ისე ორას წარჩინებულ მამულის შვილს?.. ესეთი და სხვა ამგვარი ფიქრები ბურუსივით შემოსწოლოდა ქართველთ რაზმის წინამძღვრებს და არ იცოდნენ-კი, რა პასუხი გამოეძებნათ მათთვის.

ერეკლე ძველებურადვე ტრიალებდა ბრძოლის ველზე, იბრძოდა ლომივით, სადაც საჭირო იყო, ახდენდა განკარგულებას, მაგრამ ამასთანავე ცხადად სჩანდა, რომ მის ძლიერ სულს მშვიდობა და მოსვენება დაჰკარგოდა.

VI.

მეფე ბრძოლიდგან გავიდა, ტყის ნაპირას პატარა მაღლობ ადგილზე შესდგა და გაჰხედა ჰაჯი ჩალაბის მხარეს. გაოცებით შეჰნიშნა, რომ იქითკენ ლეკები ნელ-ნელა უკან იწევდნენ და რაღაც საიდუმლოებით მთის კალთას ეფარებოდნენ. ერეკლემ გაიფიქრა: იქ ალბად საფარი აქვთ გაკეთებული და უნდათ წაგვიტყუილონ, ან იქნება სხვა რამ ამბავი ხდება ამ მთას იქით? უნდა უსათუოდ შევიტყო... აიღო თავი მაღლა და გაიხედა ჯარისაკენ. იქვე ახლო შეჰნიშნა ერთი ცხენოსანი, იცნო იგი და პატივის-ცემით შესძახა:

— თავადო, აქ მობრძანდით პატარა ხანს.

ამ სიტყვებზედ იმავე წამს ცხენიდგან გადმოხტა სისხლში მოსვრილი შუახნის ვაჟკაცი, მაშინდელი დროის ერთი წარჩინებული ქართველთაგანი, ზაალ მაჩაბელი, შორიდანვე თავი მძიმედ დაუკრა მეფეს და მოკრძალებით გაჩერდა მის წინაშე.

— რას მიბძანებთ, შენი ჭირიმე, ბატონო?

— აქ შენთან ოსი ხომ არავინ არის?

— როგორ არა, ბატონო, გახლავთ. ნარელი ოსი, სანაქებო ვაჟკაცი, სოზირა ხეთაგური.

— მაშ, დამიძახე ეხლავე აქ...

ორიოდ წამის შემდეგ მეფის წინ შეჩერდა მაღალი ტანის, ჯერ კიდევ ახალგაზდა ოსი.

— ამ მთებში ხომ არსად გივლია? ჰკითხა მეფემ.

— როგორ არა, შენი ჭირიმე, გივლია. პატარა ბიჭი რო იყავი, მა რჯულ-ძაღლებმ დიდი ლევახის ხეობაში, ჭრებასთან დამიჭირეს, წამოგიყვანეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ხუთი წელიწადი აღარ გამიშვეს... მერ მე და ერთი ქიზყელი კაცი გამოვიპარეთ, გზაზე ხუთი ლეკი მოვკალით და იმათი თავები გორში ბატონ თეიმურაზ მიართვი...

— ყოჩაღ, ხეთაგურო!.. მაშ იქნება ლეკურიც იცოდე?

— იცი, შენი ჭირიმე, ცოტა იცი.

---

*) იხ. „ივერია“ № 241.

ჩვენ სრულიადაც არა გვწადიან ევროპის მშვიდობიანობა დავარღვიოთ და უმოწყალო სისხლის ღვრა გამოვიწვიოთ. მხოლოდ იმასა ვთხოულობთ, რომ აიძულონ პორტა და თავისი სიტყვა შეასრულებინონ, ბერლინის ტრაქტატის მე-23 მუხლი განახორციელებინონ. მართალია ზოგიერთმა დიდ სახელმწიფოს ელჩმა წინადადებაც წარუდგინა ჩვენს სასარგებლოდ ოსმალეთის მთავრობას და დიდად დაიმედებულიც დაბრუნდა იქიდგან, მაგრამ ჯერ ჯერობით ვერავითარ სანუგეშო შედეგს ვერ ვღირსეთ. საჭიროა, რომ ყველა ელჩებმა ერთად და მტკიცედ მოსთხოვონ, რომ აღდგენილ იქმნას მაკედონელთა უფლებანი თანახმად ბერლინის ტრაქტატისა. ბულგარია აგერ 25 წელია, რაც განთავისუფლდა, მაგრამ ბალკანეთის კულტურულს ზრდას მაკედონიის გაჭირვებული მდგომარეობა უშლის ხელსა, რადგან ეს „გემრიელი ლუკმა“ ბალკანეთის ყველა სამეფო სამთავროებს მადას უღვიძებს და ერთმანეთს მტრად უხდის. სანამ მაკედონია ოსმალეთის მონობას არ დააღწევს თავსა და საკუთარს, თავისუფალს ცხოვრებას არ შეუდგება, შეუძლებელია ბალკანეთზე მშვიდობიანობა და კეთილ-განწყობილობა დამყარდეს. მაკედონელები დახმარებას ელიან. მათ სულ მუდამ იმას ჩასძახიან,— მოითმინეთო. მაგრამ მოთმინებასაც საზღვარი აქვს. განა იქამდე უნდა ითმინონ, ვიდრე სრულიად გასწყვეტდნენ! ეს შეუძლებელია. მაკედონელთა ბელადები ზამთრისათვის ჯარებსა და სურსათს ამზადებენ. გაზაფხულზე ხომ განახლებულის ძალ-ღონით შეუდგებიან თავიანთ საქმეს. ყოველ ამის და მიხედვით ვგონებ, რომ საუმჯობესო იქნება, ევროპა ეხლავ შეუდგებოდეს ამ საქმეს და ბალკანეთზე მშვიდობიანობას დაამყარებდეს. სრულიად საკმარისია დიდმა სახელმწიფოებმა ერთხმად მოსთხოვონ ოსმალეთს ბერლინის ტრაქტატის აღდგენაო.

პარიჟში მიხაილოვსკის გაზ. „Echo de Paris“-ს კორესპონდენტისათვის უთქვამს, - დიდი იმედი მაქვს საფრანგეთისა და ინგლისისაო. ჩემის აზრითაო,—განუცხადებია მას,— ეს ორი სახელმწიფო ყველაზედ მეტად უნდა ზრუნავდეს, რათა ბალკანეთის სლავიანები აღორძინდნენ, თორემ „სრულიად-გერმანელთა“ მისწრაფება საოცარის სისწრაფით იკიდებს ფეხსა და ცუდს მომავალს უქადის მთელს ევროპასაო. მიხაილოვსკის სიტყვით, მაკედონელთა კომიტეტის ხარჯით ბრძოლის ველად 4000—5000 მეომარი ყოფილა ამ ჟამად.

მაკედონია. გაზ. „Вечерняя Почта“-ს მაკედონელი კორესპონდენტი, აი, რას იუწყება რუსეთის ფილიპპოპოლის ვიცე-კონსულისა და მაკედონელ-მეამბოხეთა სარდლის დანჩოს შეხვედრის შესახებ. დანჩო ამ რამდენისამე დღის წინად შეიპყრეს კიუსტენდილში; იგი უბრალო, გაუნათლებელი კაცია; სამშობლოს სიყვარულით გატაცებული მამულის შვილი გულგრილად ვერ უყურებდა თანამემამულეთა ტანჯვა-წვალებას; აისხა იარაღი და მიაშურა მაკედონიის დაბურულს მთებსა. სრულიად მოსწყდა ქვეყნიერობას და თითქმის გაველურდა; დანჩო ნამდვილი წარმომადგენელია სამხრეთ-სლავიანთა იმ ჰაიდუკებისა, რომლებსაც ხალხი აღტაცებით შეაქებს ლექსებსა და სიმღერებში. რუსეთის ვიცე-კონსული და დანჩო ერთმანეთს კიუსტენდილის საპოლიციო სადგომში შეხვდნენ.

„ბატონო კონსულო,—მიმართა დანჩომ— დღეგრძელ იყვეს მეფე ნიკოლოზი! გაუმარჯოს რუსეთს! გაგიმარჯოთ თქვენცა! აგერ რამდენი წელიწადია, რაც მე ვიბრძვი მაკედონიაში და კიდევაც ვიბრძოლებ, სინამ ჩემს ძვლებს ან პირინში არ ჩავმარხავ, ან მაკედონიის თავისუფლებას არ მოვესწრები. ჩვენი დაცხრომა შეუძლებელია, სანამ მტარვალ ოსმალებს სამაგიეროს არ გადავუხდით.

— მერე თქვენ იქ ვინ გაგიშვებთ? შეეკითხა კონსული.

— ვინ გამიშვებს?! მე თვითონ წავალ, რადგან ხალხს ასე სწადიან. ხალხი რომ ჩვენ გვეწინააღმდეგებოდეს, განა შესაძლო იქნებოდა ჩემი და ჩემ თანამოაზრეთა ამდენს ხანს მაკედონიაში ყოფნა? პირინის მთებში მე ისე ვგრძნობ თავს როგორც ჩემს სახლში.

— კარგია და რაშ-ღა გაიძულათ ბულგარიაში გადმოსვლა? რატომ ეს ზამთარიც მაკედონიაში არ გაატარეთ?

— შარშან მთელი ზამთარი მე ჩემის ამხანაგებით მაკედონიაში გავატარე. აქამდე იქ ვიყავი; ეხლა საუბედუროდ ტყვია-წამალი შემოგვაკლდა და მის საშოვად აქეთ გადმოველით. როგორც-კი გადმოვდგით ფეხი საზღვარზე, მაშინვე შეგვიპყრეს, ბულგარიის დარაჯებმა და აქ მოგვიყვანეს. ოსმალებს არ შეეძლოთ ჩვენი შეპყრობა და დაპატიმრება, მაგრამ როგორც ჰხედავთ, ჩვენმა ძმებმა-კი შესძლეს ეს გმირობა!.

— მერე, აქ რომ მოდიოდით ტყვია-წამლისათვის როგორ უნდა გეშოვნათ. ვისგან მოელოდით ხელის გამართვას? სადა გქონდათ თქვენ ფული, რომ საჭირო ტყვია-წამალი და სურსათი იყიდოთ ხოლმე.

— თვით მაკედონიის ხალხი გვაძლევს ფულს იარაღისა და ტყვია-წამლისათვის. ამ ფულს ვგზავნით სანდო კაცის ხელით ავსტრიაში და იქიდან მოგვდის ყველაფერი, რაც-კი ჩვენთვისაა საჭირო. აი, ეხლაც ავსტრიიდან მოგვივიდა ცნობა: თოფები, პატრონები და ტყვია-წამალი გამოვგზავნეთ, ამა და ამ ადგილას დახვდით და მიიღეთო; ჩვენ მოველით აქ მის მისაღებათ, მაგრამ მონათლული ოსმალები (ბულგარები) გვართმევენ გაჭირვებულ ხალხის შეგროვილ ფულით ნაყიდ იარაღს, ჩვენ კი გვაპატიმრებენ და მაღნებში გვგზავნიან სამუშაოდ. მერე რისთვის?“...

აქ სარდალმა გული იჯერა ბულგარიის მთავრობის ლანძღვა-გინებით და შემდეგ სთხოვა რუსეთის კონსულს, მიაღწევინეთ ჩვენს ამბებს რუსეთის ყურამდე და გადაეცით, რომ „მაკედონელებს იმედი აქვთ ჯერ თავის მკლავისა, და მერე ერთად ერთის რუსეთისაო“.

მერმე ამ გაველურებულმა მეამბოხე ჰაიდუკმა, აღაპყრო ხელნი თვისნი ზეცად და გულ-ამოსკვნილ ტირილით წარმოსთქვა:

„გაუმარჯოს რუსეთის მეფეს! გაუმარჯოს ბულგარიას და გაუმარჯოს თავისუფალ მაკედონიას!“

კორესპონდენტის სიტყვით დამსწრეთ ძლივს შეიკავეს ტირილი.

კონსული გამოელაპარაკა სხვა მეამბოხეებსაც. სხვათა შორის, დიდხანს ესაუბრა მეამბოხეთა მღვდელს: ამ მღვდელმა აღელვებულის ხმით უამბო რუსეთის კონსულს, როგორ შეცვივდნენ მათს სოფელში ოსმალთა და ალბანელთა ბრბონი, როგორ შეჰბოჭეს ისა და ექვსი სხვა გლეხ-კაცი, და რა ყოფით წაასხეს იგინი. შემდეგ მოუთხრო, როგორ გაანთავისუფლა იგინი სარდალმა დანჩომ, რომელიც გაჰმოკიდებოდა თავისის რაზმით ოსმალებსა, დასწეოდა და მუსრი გაევლო მათთვის. ტყვეობიდან განთავისუფლებულნი რასაკვირველია, დანჩოს რაზმს შეუერთდნენ და აღარც განშორებიან მას.

კორესპონდენტის სიტყვით, მეამბოხეებთან შეხვედრამ და მათთან ხანგრძლივმა საუბარმა რუსეთის კონსულზედ დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი.

„პატიოსნება“, კომედია 4 მოქმედებად ზუდერმანისა, თარგ. არ. ახნაზაროვის მიერ.

„პატიოსნება“ პირველი და ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია ზუდერმანისა. ამ პიესით მოიპოვა მან ნიჭიერ დრამატურგის სახელი და სწორედ ესეც პიესაა მიღებული საზომად მის სხვა თხზულებათა დასაფასებლად. სამწუხაროდ ადგილი და დრო არა გვაქვს იმდენი, რომ სავსებით გავაცნოთ მკითხველს ამ პიესის შინაარსი და ავტორის უნარი იმ რთულ აზრის განმარტებისა, რომლის გადაჭრას შესდგომია იგი. ვიმედოვნებთ-რა, რომ ეს შესანიშნავი პიესა კიდევ იქნება შემდეგში ჩვენს სცენაზედ წარმოდგენილი,—შემდეგისათვის გადავდებთ მისს გათვალისწინებას. ახლა მხოლოდ აღვნიშნავთ იმას, თუ რამდენად შეიძლეს ჩვენმა არტისტებმა კომედიის დაძლევა და სათანადოდ წარმოდგენა.

დავიწყოთ ბ-ნ სვიმონიძით, რადგანაც იგი თამაშობდა პიესის უპირველეს გმირის რობერტის როლს. სვიმონიძის თამაშობას რომ ის საზომი გამოვუთანაბროთ, რომლითაც საზოგადოდ იზომება მსახიობისაგან უმთავრეს გმირის განპიროვნება ამგვარ პიესებში,—რასაკვირველია, იგი ვერ დაგვაკმაყოფილებს. რობერტის სულის მოძრაობა იმდენად მრავალფეროვანია, იმდენად ცვალებადი და მგზნებარე, რომ სვიმონიძის ნიჭი ამ თვისებათა გადმოცემის მოთხოვნილებას ვერ შეეწევა. სვიმონიძე დრამატიულ პათოსის გამოსახატავად შემდეგ საშუალებას მიმართავს ხოლმე: ხმას მაღლა ფარდამდე მიაწვდენს, ხელებს ერთმანეთში ჩაჰხლართავს და თვალების ელვარებას აძლიერებს. შეიძლება, ამგვარ საშუალებით გამოიხატოს რომელისმე მელოდრამულ გმირის სულის-კვეთება, მაგრამ რობერტისთანა ადამიანის არსებას ამგვარის ხერხით ვერ გააპიროვნებთ; განსაკუთრებით-კი იმიტომ, რომ მაღალ ფარდამდე ასული ხმა სვიმონიძისა ჰკარგავს ძლიერებას და ხრინწ-ნარევი ჰხდება; ამას გარდა, ამ მდგომარეობით გატაცებული, სვიმონიძე გადასცდება ხოლმე ზომიერებას და იმ სიტყვებს, რომელსაც იგი ამბობს, შესაფერ მნიშვნელობას აღარ აძლევს ხოლმე, ნამეტნავად-კი მაშინ, როცა როლი ზეპირად არ იცის. ტანჯვა-გვემის დროს-კი, როდესაც სიტყვა აღარ არის და მხოლოდ სახის მოძრაობით უნდა გამოითქვას გმირის სულის ქენჯნა, სვიმონიძეს ჩვეულებათ აქვს თვალების მილულვა, მიბნედვა და ქვედა ტუჩის კბილებ-შუა შეკავება. ასეთი მოძრაობა სახისა არ უხდება ჯერ-ერთი ამ მსახიობის ბრგე გამომეტყველებას და მეორეც მის სახის საერთო იერს.

აი, ზოგადი ხასიათი სვიმონიძის თამაშობისა დრამატიულ როლებში და, რამდენადაც უფრო ნაკლებია ხოლმე ზემო აღწერილი მოძრაობა სახისა და სხეულისა. მით უფრო სვიმონიძე სასიამოვნო სანახავია. სვიმონიძის სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ რობერტის როლში ასეთი უნარი ნაკლებად გამოიჩინა, განსაკუთრებით მესამე მოქმედების იმ ძლიერ სცენაში, როდესაც რობერტი გაიგებს, რომ მიულინგმა ფულით შეისყიდა მისი მშობლები. ამ სცენაში იგი იყო ბუნებრივი და გრძნობა-გამსჭვალული, თუმცა არც ჰყვიროდა და არც ხელებს ხლართნიდა; და რად მოხდა ეს? იმიტომ, რომ თითოეულ სიტყვას თავისი შესაფერი კილო ჰქონდა აღვგნებული და ამ კილოში ნამდვილის ადამიანის ხვეწნა-მუდარება და ამავე დროს ტანჯვაც უფრო ძლიერად გამოითქმოდა, ვიდრე მაშინ იქნებოდა, მსახიობს რომ ხმა აემაღლებინა და გოდებას მოჰყოლოდა. რობერტი კულტუროსანი ადამიანი, ამის გამო, ის უმწვერვალესი სულთა ძვრა, რომლის დროსაც მდაბიო და უხეში ადამიანი ხმა-მაღლა ძახილით მოსთქვამს თავისს უბედურებას და დობ-ყორეს ედება,—რობერტის არსებაში, თუმცა უფრო მწვავეა, მაგრამ გარეგანი მისი გამომეტყველება ნელია და ზავთ ნაკლები, რადგანაც კულტურულ ადამიანს მეტი ძალა მოეპოვება თავის შესაკავებლად.

ამის გამო სვიმონიძე, რომ ნაკლებად ყოფილიყო გრძნობა ამხედრებული მეორე მოქმედების უკანასკნელ სცენაში, როცა იგი კურტ მიულინგს დაკმაყოფილებასა სთხოვს,—უფრო კარგი იქნებოდა. უნდა ახსოვდეს მსახიობს, რომ რაც უფრო ადამიანი სცდილობს დაჰმალოს ნაღველ-სავსე მდგომარეობა თვისი, ან ნაკლებად გამოსთქვას იგი, მით უფრო ძლიერად ჰმოქმედობს იგი მაყურებელზედ.

საზოგადოდ-კი, სიმართლე მოითხოვს გვსთქვათ რომ სვიმონიძე რობერტის როლში ყოველის გზით ხელს უწყობდა საერთო ანსამბლს, რაც კი დიდ მადლად უნდა ჩაეთვალოს მსახიობს.

(დასასრული იქნება)

ოპერა „კარმენ“-ით დაიწყო ქ-ნ ინსაროვისამ მონაწილეობა საოპერო დასში და უნდა ვსთქვათ, ეს დაწყობა მშვენიერი რამ იყო. გარეგანი საოცნებო შეხედულება, მხატვრული ალღო დრამატიულ მომენტების გადმოსაცემად და სცენიურ ეფექტებით მოხერხებულად სარგებლობა,—ქ-ნ ინსაროვისას ხელს უწყობს, რომ კარმენის მრავალ-გზით ცვალებადი გუნება და ვნებით აღსავსეობა უნაკლულოდ გადმოგვცეს. თითოეულ მუსიკალურ აზრს ქ-ნი ინსაროვისა გარეგანის მოქმედებით სახისა თუ სხეულისა,—სათანადო იერით ჰფერავს და ამისგამო ამ აზრს ერთი ორად ძლიერება ეძლევა. ამ მსახიობ-ქალისათვის პაუზა არ არსებობს, ე. ი. იგი არასდროს არა სდუმს სცენაზედ, რადგანაც, თუ გახუმებულია, მაშინაც-კი მეტყველებს სახით.

ქ-ნ ინსაროვისამ ძლიერი შთაბეჭდილება იქონია მსმენელ-მაყურებლებზედ, როგორადაც საუკეთესოს „კარმენ“-თაგანმა, რომელიც-კი ტფილისს ოდესმე უნახავს.

ქ-ნ ინსაროვისას ხელს უწყობდნენ ბ-ნი ბოსაჩიჩი დონ-ხოზეს პარტიაში და ბ-ნი პოლუიანოვი ტორეადორისა.

წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, ტევა არსად იყო.

სახალხო თეატრი. შაბათს, 9 ნოემბერს რკინის გზის სახელოსნოების თეატრში ქ-ნ გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით სცენის მოყვარეებმა წარმოადგინეს ავ. ცაგარლის 4 მოქ. კომედია „როგორც მოხვალ სვინაო, ისე წახვალ შინაო“.

პიესის შინაარსი უკვე იყო მოკლედ დაბეჭდილი ჩვენს გაზეთშია, პიესა ტეხნიკის მხრივ მეტად სუსტია და ახალსაც არაფერს წარმოადგენს. ერთი ტიპი ნიკოლა—იგივე აკოფაა, მხოლოდ განსხვავება იმაშია, რომ აკოფას ტიპი ავტორს კარგად აქვს დახასიათებული, ნიკოლასი-კი—არა და ამას გარდა ავტორი ნიკოლას ბევრს იმისთანა რასმე ალაპარაკებს, რაც ამის ბუნებას სრულიად არ შეეფერება. მეორე მოქმედი თილალა ხანუმას მზგავსი ადამიანია. მესამე სიკო იგივე ქლესოვია („ციმბირელი“), განსხვავება მხოლოდ იმაშია. რომ სიკო უფრო დაფიქრებული კაცია. ქლესოვი-კი უფრო მჩატე-ერთსაც და მეორესაც ცოლის შერთვა ფულის საშოვნელად უნდათ. რაკი უფრო დინჯი კაცია სიკო, ამიტომ მისი საზიზღარი წადილი გვიან გამომჟღავნდება, ქლესოვი-კი ჩქარა ებმება მახეში.

ე—ნა.

ნარკვევი

ამას წინად „ცნობ. ფურცლის“ ერთ-ერთ №-ში ბ-ნ ანდრონიკაშვილის წერილია დაბეჭდილი. ბ-ნი ანდრონიკაშვილი არ ეთანხმება თავ. დ. ჯანდიერის შემდეგს აზრს, წარმოთქმულს სამეურნეო კრებაზე: „საჭიროა, ბოროტ-მოქმედი ადგილობრივვე ისჯებოდეს, რომ ასეთმა სასჯელმა სხვებიც დააშინოს; ადმინისტრაციას უფლება უნდა მიეცეს ბოროტ-მოქმედების მოსასპობად, წვრილმანი საქმეები განიხილოს და დამნაშავე დასაჯოს“. ჯანდიერის ამ აზრს ეწინააღმდეგება ბ-ნი ანდრონიკაშვილი. ვეწინააღმდეგებით აგრეთვე ჩვენც, ჩვენ მომხრე ვართ სოფელში (აგრეთვე ყველა სფეროში) ადმინისტრაციის უფლებათა შეზღუდვისა და მომრიგებელ სამოსამართლოს უფლებათა გაფართოებისა, ჩვენ მხოლოდ გაგვაკვირვა ერთმა გარემოებამ, რომელიც საბუთს აძლევს ბ-ნ ანდრონიკაშვილს, ჩვენის ფიქრით, შეცდარი აზრი დასკვნას. ბ-ნი ას—შვილი ამბობს:

> თუ რამდენად უსარგებლოა და ამასთან საშიშიც—მიეცეს ადმინისტრაციას ბოროტ-მოქმედების მოსასპობლად ზოგიერთის საქმის განხილვის უფლება, ამის დასამტკიცებლად ჩვენ მოვიყვანთ აქ ერთს მაგალითს. კარგა ხნის წინად სიღნაღის მაზრის ერთ საბოქაულოში დანიშნული იყო ბოქაული, რომელმაც თავის მეტის-მეტ სასტიკ მოქმედებით „ადგი-

---

— მაშ გასწი ეხლავე... აიმ მთას გადაუარე, გადაიხედე იქით, ყველაფერი დაათვალიერე... თუ მოახერხო როგორმე, მიუახლოვდი ლეკებს, ყური დაუგდე და, თუ გაიგონო რამე, კარგა დაიხსომე... აბა, გასწი... რაც უფრო მალე შეასრულებ ამ დავალებას, იმდენად კარგი იქნება... ღმერთი იყვეს შენი შემწე..

ოსმა სიამოვნებით და თავ მოწონებით შეჰხედა მეფეს, გულზე ხელი მიიდო, მძიმედ დაუკრა თავი და გამობრუნდა უკან. თავისი ცხენი ხეზე მიაბა, თოფი და ხმალიც იმავე ხეზე ჩამოჰკიდა. ორი გატენილი დამბაჩაც გამოართვა ამხანაგებს, ჩოხის კალთები შალვარში ჩაიტანა და მოჰკურცხლა. პატარა ხანს კი სჩანდა მისი გასაოცარი სიმარდე, კლდიდან კლდეზე ხტომა, გაბარდნულ ბუჩქებში ძრომა და შემდეგ გაჰქრა დაბურულ ტყეში.

ამ დროს მეფესთან მოვიდნენ ჯარის წინამძღოლნი.

— ბატონო, წარმოსთქვა ზაქარიამ,—ჰაჯი ჩალაბი რაღასაც გვიპირობს: ორივე მხრიდგან თითქმის სრულიად შესწყვიტა ბრძოლა.

— იმედი მაქვს, მალე შევიტყობთ გაიძვერა ჰაჯი ჩალაბის განზრახვას,—ბძანა ერეკლემ.—მე ამ ჟამად უფრო მამიჩემის მოუსვლელობა მაწუხებს. თუ რაიმე უბედურება არ იყოს იმის თავს- იგი აქამომდე აქ გაჩნდებოდა. ერთი შავი ფიქრი მიტრიალებს თავში: ვაი თუ ხანებმა გვიღალატეს, მოხუცი მამა მომიკლეს და... აქ გასწყვიტა ლაპარაკი, ხმალზე ხელი წაივლო, და მცირეოდენის სიჩუმის შემდეგ მრისხანებით შესძახა:

— განჯის ხანები მუდამ მტრები ყოფილან საქართველოსი. თუ მოხდა რამე, ეს ნამდვილად მისის ბოროტების ნაყოფი იქნება... და ვფიცავ წინაპართა წმიდა საფლავებს, რომ სულ ერთიან ავაოხრებ განჯას, ცხენს კუდით ვათრევინებ ხანსა, მთელს მისს განაგისს დედამიწის ზურგიდან ამოვფხვრი.

საშინელი, საზარელი სანახავი იყო ამ დროს მეფე ერეკლე! მისი დიდრონი შავი თვალები ჯოჯოხეთის მრისხანებას აფრქვევდა გარეშემო... მთელი სახე მეფისა მოშავებულ ცასა ჰგავდა: კაცს ეგონებოდა—საცაა ჭექა-ქუხილი ასტყდება და ამ საზარელ სახიდან მეხი გადმოვარდებაო. წინაშე მეფისა იდგნენ დიდებული ვაჟკაცნი... მათ არა ერთხელ ენახათ თავზარ დამცემი ამბები, არა ერთხელ გამოეცადათ სიკვდილის ბჭყალებში ყოფნა, მაგრამ არსად არ უგრძვნია მათ გულს შიში, არ შეჩერებულა ერთ წამსაც-კი მათი წინ მიმავალი ნაბიჯი; მაგრამ აქ-კი ამ მუქარის წარმოთქმის დროს, ყოველ მათგანს რაღაც გამოურკვეველმა შიშმა დაჰკრა თავში. თითო ნაბიჯი გადასდგეს უკან და მორიდებით ჩაღუნეს თავები. მოხუცმა თუშმა, თეიმურაზ მეფესთან შეზრდილმა და აწ მუდამ პატარა კახთან მყოფმა, აღტაცებით შეჰხედა მას, უხერხულად გადიწერა პირჯვარი და სასოებით წარმოსთქვა:

— ჰეი, შენი ღმერთის ჭირიმე, შენი!.. ქართველი კაცი ტყუილად-კი არ ამბობს: „რკინის პერანგი ჩაიცვა, გაჰკრა ხელი და გახიაო“. ერეკლე ბატონიშვილი კაცი-კი არა, მდევია, მდევი!..

VII

ჰაჯი-ჩალაბმა ხელახლა გააჩაღა ბრძოლა. ამ ჟამად თავდასხმისა და ხმალ და ხმალ ბრძოლის მაგივრად, მან მიჰმართა თოფებს. ორივე მხრიდან ქართველებს დაუშინეს ტყვია, მაგრამ ეს თოფის სროლა თითქმის არავითარ ვნებას არ აძლევდა მათ. ესენი ამოეფარნენ ხეებს, კლდეთა, ბუჩქებს და ისხდნენ იქ უვნებლად: ზოგი მათგანი ჭრილობას იხვევდა, ზოგნი თოფ-დამბაჩებს სტენავდნენ, ხოლო საერთოდ ყველანი, კარგა ძალზე დაღლილ-დაქანცულნი ისვენებდნენ და მომავლის ბრძოლისათვის ემზადებოდნენ.

სწორედ გასაოცარი იყო ამ ხალხის სულის მდგომარეობა! ცხადათა სჩანდა, რომ ყოველი მათგანი კარგად ხედავდა აწინდელი ვითარების სიძნელ-გაჭირვებასა; მაგრამ, ამავე დროს, თვით მძიმედ დაჭრილთა სახეზედ მზის გულივით ბრწყინავდა ვაჟკაცური მხნეობა და გაბედულობა, იმედი და სასოება, მათ შორის ხშირად ისმოდა ხუმრობა, მხიარული ღიღინი, მოსწრებული სტყვა-პასუხი, რომელსაც მოსდევდა ხოლმე გულიანი სიცილ-ხარხარი. ხანდისხან ერთი რომელიმე მხიარულად შემოსძახებდა რაიმე საგმირო სიმღერას, ამას მაშინათვე მიჰყვებოდა მოძახილი, ბანი და მთელს ხეობას, მთასა და ბარს მოედებოდა დიდებული ხმა, ნათლად გამომხატველი შეურყეველის მამაცობისა და ძლიერის სულის სიმტკიცისა. ამისთანა დროს დაუძინებელი მტერიც-კი წყნარდებოდა და, სულ-გაკმენდილი, ყურს უგდებდა ამ გმირთა გრიალს, მამულის სადიდებელ ჰექა-ქუხილს.

მეფე ერეკლე ისევ წელანდელ მაღლობზე სჩანდა. უზარმაზარი მუხის ქვეშ უნაგირი დაედოთ და მასზე იყო ჩამომჯდარი. მარცხენა ხელით თოფი ეჭირა, მარჯვენაზე ნიკაპი დაეყრდნო და ღრმა ფიქრებს მისცემოდა. ზაქარია და ოთარიც ცოტა მოშორებით იდგნენ და დაბალის ხმით რაღაზედაც ლაპარაკობდნენ. ერეკლე უცებ წამოხტა, გადადგა ორიოდე ნაბიჯი წინ და დაიძახა:

— ზაქარია, მოდი ჩქარა აქა! ამ მხრიდან ტყეში ვიღაც მოდის... მოკეთეა, თუ მტერი, აბა ერთი ნახე.

— აქედან მტერი ვერ მოვა, ბატონო!.. მოახსენა ანდრონიკაშვილმა: მანდ ტყეში ფშავხევსურები დგანან... ოსი ხეთაგური იქნება... მართლაც-და, სწორედ ამ დროს მოისმა ხეთაგურისა და ყარაულების ლაპარაკი. მცირე ხნის შემდეგ გამოჩნდა თვით ხეთაგურიც. ერეკლემ სიამოვნებით გადახედა ხვითქში გაცურებულ ახლად მოსულს და უთხრა:

— მარჯვედ გივლია, გმადლობ! აბა რას იტყვი, ხეთაგურო?

უკანასკნელმა თავის დამტვრეულის ქართულით იწყო ლაპარაკი და აღმოჩნდა შემდეგი: ჰაჯი ჩალაბს მოეშორებინა თავის ჯარისთვის სამასი მხედარი და გაეგზავნა აღმოსავლეთისკენ, რათა შემოევლო იმ მთისთვის, რომელიც მდებარეობდა ქართველების მარცხენა მხარეს, შემდეგ შეერთებოდა ხეობაში მყოფ ლეკებს და ამნაირად მოესპო ერეკლესთვის უკან დაბრუნების საშუალება. გარდა ამისა აღმოჩნდა ისიც, რომ ჰაჯი ჩალაბი ყოველ წამს ელოდა დაღისტნიდან დიდძალ ლეკების მოშველებას. ეტყობა, ჩვენი წინ წატუება უნდოდა: გზის აქეთ და იქით საფარებს აკეთებენო.

— მამაჩემზე, ან ერევნისა და განჯის ხანებზე ხომ არაფერი გაგიგონია?—ჰკითხა ერეკლემ ხეთაგურსა.

— ბატონ თეიმურაზზე და ერევნის ხანზე არაფერი; უპასუხა ოსმა,—მაგრამ განჯის ხანის ხსენებას-კი ყური მოვკარ... ერთი ცხენოსანი თათარი მოიჭრა და რაღაც ქაღალდი მიართვა ჰაჯი ჩალაბს. ამ ბარათის წაკითხვამ დიდათ გაახარა იგი და რამდენჯერმე ხმა მაღლა წარმოსთქვა განჯის ხანის ქება-დიდებაო.

— მსწრაფლ შესხედით ცხენებზე,—დაიძახა მეფემ.—ოთარ, შენ უკან მოჰყევი რაზმსა.. თუ, ვინიცობაა, მტერი წამოგვეწია, შენ უნდა გასცე პასუხი. ზაქარია, ჩვენ უნდა გაუძღვეთ წინ ჯარსა, მტერი უნდა გავარღვიოთ და საჩვენოსკენ გავქანდეთ. იმედი მაქვს, რომ სინამ ლეკის რაზმი ამ მთას მოუვლის, ან ჰაჯი ჩალაბს ახალი ჯარი მოეშველება, ჩვენ უკვე სამშვიდობოში ვიქნებით გასული.

ბრძანება მეფისა საჩქაროზე იქმნა აღსრულებული. ერეკლე დაუდგა თავში რაზმსა. მას უკან მოუდგნენ ზაქარია, მაჩაბელი, რამდენიმე თუში. დაიძრა ჯარი და ხმა გაკმენდილი დინჯის ნაბიჯით დაადგა იმავე გზას, რომელზედაც გამოიარა ამ ხუთიოდე საათის წინად. ლეკებმა, რაღა თქმა უნდა, მალე შენიშნეს მათკენ მიმავალი ქართველები; ასტეხეს ღრიანცელი, საჩქაროზე მოიყარეს გზაზედ თავი და იწყეს თოფის სროლა. გავარდა მეფის თოფიც, რომელსაც იმავე წამს ხმა მისცეს მთელი რაზმის თოფებმა. შემდეგ ერეკლე ცხენზე მოტრიალდა, პირი ქართველებისკენა ჰქმნა და მქუხარის ხმით შესძახა:

— ხმალი, ხმალი ამ წუნკალებს!

ამ ხმას მაშინათვე მოჰყვა მუქარითა და მრისხანებით სავსე გრგვინვა. როგორც გრიგალი ქარიშხლისა, ისე გაჰქანდა რაზმი ქართველებისა. რისხვა ღვთისა დაატყდათ მაშინ გზაზედ მდგომარე ლეკებს: ორასზედ მეტი გამოესალმა სამუდამოდ წუთისოფელს. თავზარ-დაცემულნი გარბოდნენ აქეთ-იქით და მხოლოდ ის გადარჩა უვნებლად ამ საზარელ კაცთა ნიაღვარს, რომელმაც დროზე მოასწრო გზიდან გადახტომა!..

არბოელი.

(შემდეგი იქნება)

ლობრივის ქურდობის მოსასპობლად ისეთი შიში [illegible] მცხოვრებთ, რომ ერთ გაცასა ო პრისტავი მოდისო, კაცები თრთოდნენ, დედაკაცები იმალებოდნენ, აღმოჩენილი ქურდი (აღმოჩენილ ქურდს ლმობიერი ბოქაულიც-კი გამოსტეხს!) იშვიათად დაუმალავად ჩადენილს საქმეს. ჭეშმარიტად, ვიდრე ეს ბოქაული იმყოფებოდა, ქურდობა მოისპო, დროებით შეჩერდა. მაგრამ გადაიყვანეს თუ არა ის ბოქაული და მის მაგიერ დანიშნეს სხვა, რბილის ხასიათისა, ქურდებმა გამოჰყვეს თავი. როგორც ჰხედავთ, გადაყვანილ ბოქაულის სისტემამ, მართალია, მოსპო ქურდობა დროებით, მაგრამ სოფლის მცხოვრებნი იქამდე დაამცირა (რამ?) გალახა და ზნეობრივად დასცა, რომ საკმარისი იყო, პირობები შეცვლილიყვნენ (ე. ი. ახალი ბოქაულის დანიშვნა), რომ სოფელს ქურდობის გარდა, სხვა უბედურებაც არ გასჩენოდა. ეს ასეა ყოველთვის სასტიკი საშუალების მიღება ბოროტების მოსასპობლად იწვევს ბოლოს უფრო სამწუხარო შედეგს.

ბ-ნ ანდრონიკაშვილის მაგალითი გვეუბნება, რომ სოფელში ქურდობა მოისპობოდა, როცა სასტიკი ბოქაული დაუნიშნავთ; ქურდობა ისევ დაწყებულა, როცა სასტიკი ბოქაული გადაუყვანიათ. ე. ი. სასტიკ საშუალებას ბოროტ-მოქმედება მოუსპია. მართლა ეს ასეა? სასტიკ ღონისძიების მიღება მართლა სპობს ბოროტ-მოქმედებას, თუ პირიქით აძლიერებს? ამ აზრის სიმართლის დასამტკიცებლად მოგიყვანთ ერთს მაგალითს. ამ რამდენისამე წლის წინად გურიაში ყაჩაღების მოსასპობლად დაინიშნა სასტიკი მაზრის უფროსი. მერე მოსპო ყაჩაღობა? სრულიად არა, სულ უბრალო დამნაშავენი ყაჩაღად მირბოდნენ, ფირალდებოდნენ, რომ სასტიკს მაზრის უფროსს ხელში არ ჩავარდნოდნენ.

ქურდობა, ყაჩაღობა და სხვა მრავალგვარი ბოროტმოქმედება,—ეს ერის ავადმყოფობაა, მისი იარებია. ერის მორჩენა და განთავისუფლება ამ ტკივილებისაგან მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა გვეცოდინება, რა იწვევს ავადმყოფობას, როცა გათვალისწინებული გვექნება ამ სნეულების ბუნება. რამ გამოიწვია „ზაქროს", „კაკოს", „სიმონას" ყაჩაღად გადავარდნა? სასტიკმა და ცხოვრების აუტანელმა ვითარებამ, სასტიკმა უგანათლობამ. აი, სად არის ძაღლის თავი დამარხული და ჩვენში-კი... ჰგონიათ, რომ ადამიანის ბუნებაა მიზეზი ყაჩაღობისათა, დანაშაულისათა. ყაჩაღობა ხომ შედეგია სოციალურის ცხოვრების უკუღმართობისა და არა მისი მიზეზი. მამასადამე, თვითოეული ყაჩაღი, როგორც საზოგადოების წევრი, თავის მოქმედებით სრულიად დამოკიდებულია საზოგადოებრივს ცხოვრებასა და ვითარებაზედ, შესცვალეთ საუკეთესოდ ეს ცხოვრება და ვითარება და ყაჩაღობაც მოისპობა.

შემდეგ ბ-ნი ანდრონიკაშვილი განაგრძობს რომ „დატოვებული უპატრონოდ სოფელი ველარ სძლებს, გლეხობა იბნევა, უძლურდება და წინააღმდეგობას ვერ უწევს ვერც ბოროტებას, ვერც ცხოვრების სხვა-და-სხვა უკუღმართობასო.

როგორც ხედავთ, სოფელი და გლეხობა უპატრონოდ ყოფილა მიტოვებული, ჩვენის აზრით-კი, სოფელსა და გლეხობას იმდენი პატრონი ჰყავს, რომ აღარ იცის, რა ჰქნას, როგორ მოიშოროს თავიდგან ეს არამკითხე პატრონები. დღეს რუსეთში ყველა აღიარებს, რომ სოფლის კეთილდღეობასა და გლეხობას ძირი ამ პატრონობამ და აპეკუნობამ გამოუთხარა და ბ-ნი ანდრონიკაშვილი-კი გაიძახის: სოფელი უპატრონოაო.

„ივერიის" ფოსტა:

ცხინვალს „უცნობს". თქვენი ლექსები „გმირის სიმღერა" და „სურვილი" არ დაიბეჭდება.

ქუთაისს. №. 0—ს. გამოგზავნეთ და ვნახავთ. თუ კარგის ენით არის თარგმნილი, დავბეჭდავთ.

ხეთა. ალ. კბ. თქვენი წერილი არ იბეჭდება.

ქუთაისი. Sunger-ს. თქვენი წერილი „ქუთათური ამბავი" არ იბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

9 ნოემბერი

მადრიდი. პალატამ 161 ხმით წინააღმდეგ 118-სა უარჰყო წინადადება მთავრობის გაკიცხვის შესახებ.

მოსკოვი. რიაზან-ურალის რკინის გზის სადგურ სელეზნიზე საფოსტო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. დაიმსხვრა საქონლით დატვირთული ხუთი ვაგონი; დაშავდა ლოკომოტივი და მესამე კლასის ერთი ვაგონი საფოსტო მატარებლისა.

კონსტანტინეპოლი. რაზლოგთან შეტაკება მოუხდა ოსმალეთის ჯარსა და ბულგართა ბრბოს. უკანასკნელი შესდგებოდა 500 კაცისაგან; ესენი იყვნენ ბულგარიის ლაშქრიდგან გაქცეული მეომრები. ბრბო დამარცხდა და ბულგარიაში გაიქცა; თან წაიღო 50 მოკლული და დაჭრილი.

პანამა. კოლუმბიის მთავრობასა და აჯანყებულთა შუა მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

კარაკასი. ვენეცუელამ პროტესტი გამოუცხადა ინგლისს ორინოკოში სამხედრო გემების გაგზავნის გამო.

ესსენი. კრუპი წვეთისაგან გარდაიცვალა.

კარაკასი. შეერთებულ შტატების მისიის მდივანს სარწმუნოდ მიაჩნია ციუდადისა და ბოლიკარას გარემოცვის ამბავი. ელჩმა ბოუენმა ურჩია კასტროს მოიცადოს, სანამ ინგლისის მინისტრ-პრეზიდენტი შეიცვლება. კარაკასს სარწმუნოდ არ მიაჩნია ამბავი, ვითომ ინგლისმა პატოსის კუნძული დაიპყრაო.

10 ნოემბერი

ბუქარესტი. პალატა მოწვეულია 15 ნოემბრისთვის.

ესსენი. კრუპის ქარხანა არ მოიშლება. დირექტორად მისი ბიძაშვილის არტურ კრუპის დანიშვნა სურთ.

კიევი. შინაგან საქმეთა მინისტრი და მინისტრის ამხანაგი ზინოვიევი მოსკოვს წავიდნენ.

— უმეტესი ნაწილი ანეულობისა ვერ არის კარგი.

11 ნოემბერი

პეტერბურგი. „მთავრობის მოამბე"-ში დაბეჭდილია: დაარსდა განსაკუთრებული გამგეობა სავაჭრო ზღვაოსნობისა და პორტებისა. უფროსად უმაღლესი რესკრიპტით დაინიშნა დიდი მთავარი ალექსანდრე მიხაილის ძე.

ეკატერინოსლავი. კასინოვსკასთან ორი საქონლის მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. 11 ვაგონი დაიმსხვრა. 4 კაცი დაჭრილია.

პარიჟი. ლუბემ დიდის მთავრის ალექსი ალექსანდრის ძის პატივისაცემლად რალერბულში ნადირობა გამართ.

ესსენი. ბრინჯის ქარხნის გამკეთებას თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა. ამგვარი დეპეშა მრავალი მისულია უმაღლეს გვამთაგან, კანცლერისგან, მინისტრთაგან და სხ.

ლოდზა. ოჯახისა და სკოლის ერთმანეთთან დასაახლოვებლად სავაჭრო სკოლის ისპექტორის მეთაურობით დაიწყო პედაგოგიურის კომიტეტისა და მშობელთა კრება.

ვაშინგტონი. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ კოლუმბიის მთავრობას ინსურგენტებთან მშვიდობიანობა დაუმყარებია. რევოლიუცია დასრულებულია.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,85
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,67½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 ½ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99⅝ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	94½ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	479½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	370½ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	296¾ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89⅝ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	—
აქციები „ „ „	492½ გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	5,4500 წვრ. გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	415 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	198 წვ. გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდგან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

განცხადება

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

(წ.)

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ 22 ამა ნოემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა.

იჯარით გაიცემა სამის წლის ვადით შემოსავალი ვერის ხიდისა.

პირობათა შეტყობა შეიძლება ქალაქის გამგეობის კანცელარიის მე-4 განყოფილებაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(2—6.—2)

იბეჭდება და გამოვა ნოემბერში 1903 წ.

საქართველოს კალენდარი

(ვ. გუნიასი),

გამოცემა „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოებისა".

კალენდარი დასურათებული იქნება მრავალის სურათით, როგორც ჩვენის, ისე უცხოეთის ცხოვრებიდან. კალენდარში მოთავსებული იქნება გარდა ჩვეულებრივ საკალენდრო ცნობებისა სალიტერატურო განყოფილებაც.

მიიღება განცხადება კალენდარში დასაბეჭდად

შემდეგის პირობებით:

კალენდრის თავში მთელი გვერდი ღირს—10 მან,, ½ გვერდი—6 მან.; კალენდრის ბოლოში: 1 გვერდი—7 მ., ½ გვერდი—4 მან., ¼ გვერდი—2 მ., მარტო ადრესის გამოცხადება—1 მ.

განცხადება მიიღება: ტფილისში—ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბათუმში—მ. ნიკოლაძესთან და სპ. ჭელიძესთან, ქუთაისში—ვ. ბეჟანიშვილთან და მიტ. ლალიძესთან.

ნოემბერშივე გამოვა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამოცემა

კედლის კალენდარი.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	,
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго" метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30

გაზეთი „ივერია"

გადავიდა საკუთრებად **„ივერიის"** ამხანაგობის ხელში

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, გრიგოლი დიმიტრის ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის-ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს-ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის" რედაქციას, რომელიც იმყოფება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.

მიიღება ხელის მოწერა ჟურნალ

„მოგზაური"

1903 წელს ჟურნალი **„მოგზაური"** გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით. მასში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო, სამეცნიერო, საისტორიო და სხვა გვარი წერილები. ყოველ საუკეთესო წერილს რედაქცია იმავ დროს ცალკე იაფ-ფასიან წიგნადაც გამოსცემს ხალხში მრავლად გასავრცელებლად. ეს გარემოება იმედია აამოძრავებს მთლად ჩვენს სახალხო მწერლებს და ბევრს ისეთებსაც აალებინებს კალამს ხელში, რომელთაც აქამდის სრულიად დაკარგული ჰქონდათ ხალისი ხალხისათვის წერისა, რადგანაც გამომცემელი არ ემოვებოდათ. იმედია ამ გვარადვე არც მკითხველი საზოგადოება მიეგებება გულ-გრილად ჩვენს ასეთს განზრახვას და ხელს მოგვიმართავს როგორც ხელის-მოწერით, ისე წიგნების გავრცელებით ხალხში (ერთმა პატივცემულმა გვამმა რა ნახა ჩვენი იაფ-ფასიანი წიგნები, მაშინვე იყიდა სამი მანეთისა სოფელში მუქთად დასარიგებლად).

მოხსენებულის თანახმად „მოგზაურის" რედაქციამ ამ ორს თვეში უკვე გამოსცა ხუთმეთზედ მეტი შაურიანი წიგნი, ვითარცა: „წერილი სოფლელ მუშას", „დიფტერიტი", „დედა-აზრი მეცნიერებისა", „თეოლოგია, ფილოსოფია და მეცნიერება", „რა არის გონებითი გახსნა განვითარება", „პურის მოყვანა ჩინურ-იაპონურის წესით", «რისგან იხოცებიან უდროვოდ ჩვენი ბავშვები", „დანაშაულობა-დამნაშავენი", „რაშია ბედნიერება", „სარკე გურულთა ცხოვრებისა", „აბრასკილი", „მეურნეობა და პირადი მუშაობა-მოქმედება", „როგორ არჩენენ ადამიანებს დანით", „სულით ავადმყოფი მოსწავლენი" და სხვ. და სხვა. პირველი და მეორე ნომერი „მოგზაურისა" გამოვა იანვრის პირველს რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა იგივეა, ე. ი. 5 **მან.** გაგზავნით. მასწავლებელთათვის და ხელმოკლე დაწესებულებათათვის—4 **მან.**

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს თბილისს ამ ადრესით: въ Тифлисъ, редакціи „Могзаури" (Межев. № 72).

(6—2) **რედაქტორ-გამომცემელი ივანე როსტომაშვილი.**

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

☛ **ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.**

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად კაბა-ანაფორა და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

„ცნობის ფურცლის" რედაქციისაგან

მდგომარე წლის 15 ნოემბრიდან

სურათებიანი დამატება

გამოვა კვირაში ორჯერ

ხუთშაბათობით და კვირაობით

ფასი წინანდელი დარჩება, ესე იგი, „ცნობის ფურცელი" დამატებით ეღირება წელიწადში 6 მანეთი.

ჟურნალ **„მოამბის„** ხელის მომწერთ **„ცნობის ფურცელი"** გაეგზავნებათ ორივე დამატებით.

„მოამბეს" წლიური ფასი 10 მან., ქალაქ გარედ გაგზავნით—11 მან.

ხელის მომწერთ ვსთხოვთ გამოწერის დროს რაც შეიძლება ძლიერ **გარკვევით** მოიწერონ **გვარი, სახელი, მამის სახელი და ქალაქის სახელი,** ამასთანავე გარკვევით დასწერონ, რომელი გამოცემა ჰსურს, „ცნობის ფურცელი"—„მოამბე" თუ მარტო „ცნობის ფურცელი".

ვინც მომავალ 1903 წლისათვის დაიკვეთავს გაზეთს ან ჟურნალს და წლიურს ფასს წინადვე შემოიტანს, გამოცემანი გაეგზავნება მდგომარე წლის 1 დეკემბრიდან მომავალ 1903 წლის დამლევამდე.

ხუთშაბათის დამატების ნომრებში დაიბეჭდება **ემილ ზოლას** უკანასკნელი რომანი **სიმართლე** „Verite". ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели".

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе.) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.